

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. პროგრამის დასახელება - თეოლოგია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - თეოლოგიის მაგისტრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 120 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელი
 - დეკანოზი ბიძინა გუნია - ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელ-მსახური, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში (სასპეციალიზაციო საგანი - თეოლოგია) (საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=856)
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პროგრამის მიზანი

თეოლოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. პროგრამა ხორციელდება ევროპისა და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. პროგრამის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური პროცესები უშუალო კავშირშია ადამიანთან ყოფასთან, მის სამომავლო ცხოვრებასთან, სადაც მთელი რიგი საკითხების წარმატებული გადაწყვეტა თეოლოგიის ჭრილშია შესაძლებელი.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

- თეოლოგიის პროფილის სპეციალისტების მომზადება თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში კულტურული და რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნების გზების კვლევისათვის;
- მკვლევარების მომზადება მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებზე რელიგიური ფაქტორის გავლენის შესწავლისათვის;
- სპეციალისტების მომზადება თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში კულტურული და რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნების გზების კვლევისათვის;
- ექსპერტების მომზადება რელიგიური ხასიათის პრობლემატურ საკითხთა ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის, რელიგიური ფუნდამენტალიზმისა თუ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგობისათვის.

შესაბამისად, მიზნებიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს:

- ძირითადი თეოლოგიური პრობლემების განხილვას სისტემური სახით, თეოლოგიის განვითარების ყველა ძირითადი სტადიებისა და შესაძარებელი მასალების ფართო სპექტრის ანალიზის საფუძველზე;
- ეკლესიის წიაღში არსებულ საეკლესიო-ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და მეთოდოლოგიურ კონცეფციებს, რომელთა ანალიზიც მოხდება ზოგადსაეკლესიო სწავლების ჭრილში.

ამდენად, სამაგისტრო კურსის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას უახლესი ინტერდისციპლინარული და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს ღრმა ცოდნას ისეთ დისციპლინებში, როგორებიცაა: წმიდა წერილი, ეკლესიის ისტორია, ღვთისმეტყველება, მსოფლიო რელიგიების ისტორია, საეკლესიო სამართალი, აპოლოგეტიკა, ბიოეთიკა, ბიბლიური არქეოლოგია, კრეაციონიზმი; დაეუფლა თეოლოგიური კვლევებისთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს და შეუძლია ოპერირება დამოუკიდებელი კვლევის პროცესში.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია რელიგიური ხასიათის აქტუალურ საკითხთა ღრმა ანალიზი და კვლევა; სხვადასხვა სახის სპეციალიზირებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; საკვლევი ტექსტებისადმი თეოლოგიური ხასიათის კომენტარების დართვა. კურსდამთავრებულს შეუძლია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და გააზრება; სწავლის პროცესში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს შეუძლია კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრა დამოუკიდებლად. გამომუშავებული აქვს თეოლოგიური ტექსტებისადმი კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების დართვის, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით თეოლოგიური მასალის გამოყენების უნარი. შეუძლია, მიღებული ცოდნის გამოყენება რეფერატებისა და სამეცნიერო გამოკვლევის მომზადებაში.
- **დასკვნის უნარი** - კურსდამთავრებულს შეუძლია სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, გამომუშავდა გარკვეული უნარ-ჩვევები რელიგიურ, კულტურულ, ისტორიულ თუ სხვა საკითხთა განხილვისას, სხვადასხვა ეთნიკურ თუ კონფესიურ წარმომადგენლობებსა და ცალკეულ პირებთან ურთიერთობების ცივილური ფორმებით წარმართვისათვის; კონფერენციების, სიმპოზიუმების თუ სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების მომზადებისა და მიმდინარეობის პროცესში რელიგიური ფაქტორის გათვალისწინება. შეუძლია თეოლოგიის საკითხებზე დისკუსია, თანმიმდევრულ და ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით კორექტულად კამათი; სხვა მკვლევართა მოსაზრებების გათვალისწინება; გამომუშავდა გადაწყვეტილების მისაღებად ალტერნატიული სამეცნიერო ინფორმაციის მოსმენისა და აღქმის უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი** - აქვს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და სამეცნიერო მასალების მოძიებისა და გამოყენების უნარი; შეუძლია ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. დაეუფლა ერთ-ერთ უცხო ენას.
- **სწავლის უნარი** - აქვს სისტემური უნარები, რაც მდგომარეობს სწავლის, ახალ სიტუაციაში ადაპტირების, ავტონომიურად და ჯგუფურად მუშაობისა და მართვის უნარებში.
- **ღირებულებები** - პატივს სცემს სხვის აზრს; შეუძლია კონკრეტული ამოცანის დასახვა და დაგეგმილ დროში შესრულება; პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე მის მიერ შესრულებული სამუშაოს გამო; გამომუშავებული აქვს უწყვეტი განვითარების საჭიროების გაცნობიერების უნარი; ახალი იდეების გენერირების უნარი.

9. თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				წინაპირობა	ლექტორი
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - 84 კრედიტი											
1.	უცხო ენა 1 (ინგლისური 1)	ENGL M201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი ნ.ახოზაძე
2.	უცხო ენა 2 (ინგლისური 2)	ENGL M202	3	35	40		3			ENGL M201	სსუ ასოცირებული პროფესორი ნ.ახოზაძე
3.	წმინდა წერილი (ძველი და ახალი აღთქმა)	THEOL M201	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	ისტორიის დოქტორი. დეკანოზი გიორგი გუგუშვილი
4.	ბიოეთიკა (ქრისტიანული ეთიკა და ბიოეთიკა)	THEOL M202	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	მედიცინის დოქტორი, არქიმანდრიტი ადამ ახალაძე
5.	ღვთისმსახურება	THEOL M203	6	50	100			6		წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ბიძინა გუნია
6.	საქართველოს ეკლესიის ისტორია	THEOL M204	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი ბექან ხორავა
7.	ღვთისმეტყველება	THEOLM205	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	ფილოსოფიის დოქტორი გრიგოლ რუხაძე
8.	აპოლოგეტიკა	THEOL M206	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი გვანცა კობლაძაძე
9.	პატროლოგია	THEOL M207	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	ეკონომიკის დოქტორი, დეკანოზი ზურაბ ცხოვრეზაძე

10.	რელიგიური სამართალი	THEOL M208	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი ბადრი კვარაცხელია
11.	სოტეროლოგია და ესქატოლოგია	THEOL M209	6	50	100			6		წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი გია ალიბეგაშვილი
12.	რელიგიური ანთროპოლოგია 1	THEOL M210	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ბიძინა გუნია
13.	რელიგიური ანთროპოლოგია 2	THEOL M211	3	35	40		3			THEOL M210	ფილოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ბიძინა გუნია
14.	კრეაციონიზმის საფუძვლები	THEOL M212	6	50	100			6		წინაპირობის გარეშე	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ბალათური
15.	რელიგიების კულტურული მემკვიდრეობა	THEOL M213	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე
16.	მსოფლიო რელიგიების ისტორია	THEOL M214	6	50	100			6		წინაპირობის გარეშე	სსუ ასოცირებული პროფესორი კობა ოკუჯავა
პრაქტიკული კომპონენტი - 6 კრედიტი											
17.	პროფესიული პრაქტიკა	THEOL M215	6	105	45			6			
სამეცნიერო კომპონენტი - 30 კრედიტი											
18.	სამაგისტრო ნაშრომი	THEOL M216	30	65	685				30		
სულ - 120 კრედიტი						30	30	30	30		